საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/205 „ 4 „ ივნისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2018 წლის 4 ივნისის №1/205 გადაწყვეტილებით

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესი

მუხლი 1. სავალდებულო ტრენინგების ჩატარების მიზანი

მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ტარდება სავალდებულო ტრენინგები.

მუხლი 2. სავალდებულო ტრენინგების ჩატარების პირობები და ხანგრძლივობა

1. სავალდებულო ტრენინგების ხანგრძლივობა განისაზღვრება წელიწადში არანაკლებ 3 დღით.

2. სავალდებულო ტრენინგებზე რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, ვებპორტალის მეშვეობით. რეგისტრაცია, როგორც წესი, იწყება ტრენინგების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 3. სავალდებულო ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა

1. მოსამართლეებისათვის სავალდებულო ტრენინგების მეთოდიკის განსაზღვრასა და ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2. სავალდებულო ტრენინგების გავლის შემდეგ მოსამართლეს გადაეცემა ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ტრენინგების სავალდებულო კურსის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია სერტიფიცირებულ მოსამართლეთა შესახებ, ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, მონაწილეთა დასწრების შედეგები, ასევე პროგრამის განხორციელების პარტნიორთა დაკვირვების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული ანგარიში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.